ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 232

"24" მაისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 22 მაისის №24.846.950 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

	დანართი N1				
	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N12 (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015)				
N	**სახელი გვარი**	**პირადი ნომერი**	**სართული**	**ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)**	**საკადასტრო კოდი**
1	მზია ნაციშვილი	01001035543	სართული 4	46.68	01.19.33.012.015.01.513
			სართული 4	11.17	01.19.33.012.015.01.517
2	თეონა მაჭარაშვილი	01027065314	სართული 2	35.2	01.19.33.012.015.01.509